პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი არმიელი

31 1923 წლი
ივლისი
4
ოთხშაბათი
მზე ამ. 3 ს. 21 წ.
მზე ჩად. 8 ს. 46 წ.
შესანიშ. მოვლენათა დღიური
1918 წ. სრულიად რუსეთის
5 საბჭოთაყრილ. გახსნა.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი:
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 312 ყოველდღიური გაზეთი ფასი 50.000 მანეთი. № 312

ამხანაგებო წითელ-არმიელებო და წითელო სარდლობავ!

ადევნეთ თვალყური ჩვენი გაზეთის „წითელი-არმიელი“-ს გავრცელებას. გამოიწერეთ ის.

გამოგზავნეთ ცნობები და წერილები გაზეთისათვის.
გააშუქეთ წითელი არმიის ცხოვრება,
მისი ნაკლი და ღირსება.

განცხადება.

შაბათს 7 ივნის ა. წ.

დანიშნულია ქარ. დივიზიის პარტ-კომისიის მორიგი სხდომა, სადაც გაირჩევა შემდეგი ამხანაგების საქმეები.

1. სუმცოვი იაკობ ანდრიასძე. ავიოდივი.
2. ცოსაია ევთერი კალისტრატესძე უნც. მეთ. შემ.
3. ბერიძე ვენედქტე გლახუასძე
4. კულურკოვი გიორგი ალექ-ძე
5. ჯანგველაძე ივანე მელიტონისძე.
6. ღლონტი ვალერიანე ვარლამისძე.

ყველა აღნიშნული ამხანაგები ღლონტის გარდა უნდა გამოცხადდენ დილის 8 საათზედ.

პარტ-კომისიის მდივანი ლომიძე.

ნამდვილი ეროვნული თვითგამორკვევა შეიძლება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესიამ გამოაქვეყნა თავისი დეკლარაცია ენის შესახებ.

ამ დეკლარაციას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს და ის ოქროს ასოებით ჩაიწერება ისტორიის ფურცლებზე.

ამ აქტით საბჭოთა ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღო ჩვენი მტრების ყოველგვარ პროვოკაციას, ყალბ ცნობებს, რომელსაც ისინი ავრცელებდნენ ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხში და უნერგავდნენ მათ ყალბ შეხედულებას საბჭოთა ძალაუფლების პოლიტიკაზე ეროვნულ საკითხში.

ლოზუნგი—ეროვნული თვითგამორკვევა—კარგა ხანია გადიქცა ბურჟუაზიული, იმპერიალისტური და წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების საჯიჯგნად.

ისინი ყოველ გზა-ჯვარედინზედ გაჰკივიან ეროვნულ თავისუფლებაზე, თვითგამორკვევაზე და, სინამდვილეში კი სარგებლობენ ასეთით— ახალი კოლონიების დაპყრობისა და ხალხთა შორის ეროვნული შუღლის და მტრობის გაღვივების მიზნით.

ვის არ ახსოვს იმპერიალისტური ომის დროს როგორ იკატუნებდნენ თავს იმპერიალისტური ქვეყნების ბურჟუაზიული წრეები, რომლებიც თავის მტაცებლურ ყაჩაღურ სისხლის ღვრას ხსნიდნენ, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვის საქმეს.

ვის არ ახსოვს მენშევიკ-დაშნაკმუსავატელების კაცი-ჭამია, ეროვნული შუღლის და მტრობის პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში.

მათ ყოველთვის ასულდგმულებდათ არა ჭეშმარიტი, ნამდვილი, ეროვნული თავისუფლების დამყარების სურვილი, რომელიც გულისხმობს ყველა ერების მშრომელთა კულტურის და სუვერენობის ხელშეუხებლობას და მათ შორის ძმური და სოლიდარობით აღსავსე ურთიერთობის დამყარებას, არამედ მათ ასაზრდოებდათ ,,ველიკოდერჟავნიკული'', საშინელი შოვინიზმით გაჟღენთილი პოლიტიკა, რომელიც ნიშნავს ერთი ერის გაბატონებას დანარჩენ პატარა ერებზე და მათ შორის მტრობის და უნდობლობის განმტკიცებას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ეროვნული საკითხის სათანადოთ გადაჭრა; მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის დროს შესაძლებელი გახდა ნამდვილი, ჭეშმარიტი ეროვნული სუვერენობის, ხელშეუხებლობის და ეროვნული კულტურის გაფურჩქვნა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ეროვნული კითხვა მჭიდროთ დაუკავშირა რევოლიუციასთან.

ეს საუცხოვოთ მტკიცდება ხსენებული დეკლარაციით ენის შესახებ.

დეკლარაციაში დაცულია არა მარტო ამიერ-კავკასიის მოდიდო ერების სუვერენობა, საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთისა, არამედ სხვა პატარა ერების, როგორიც არის აფხაზეთი, ოსეთი და სხ.

დეკლარაცია ნათლად ღაღადებს ამ დებულებას: „ჩამორჩენილ ერების კულტურულ-ეკონომიურ დონის ამაღლებისათვის, დიდ პყრობელურ შოვინიზმის და ნაციონალიზმის, ამიერ-კავკასიის ერებსა და ტომებში ნაციონალური განცალკევების ნაშთების აღმოსაფხვრელად'', საჭიროა— „ამიერ-კავკასიის მრავალტომიანი ერების, მშრომელი მასსების ჩაბმა კულტურულ და პოლიტიკურ მშენებლობაში და სახელმ- [illegible] მშრომელთა ორგანიზაციებად''.

ასეთია პროლეტარული ხელისუფლების მტკიცე და ურყევი ნება ეროვნული საკითხის სათანადოთ გადაჭრისათვის.

ამის შემდეგ ჩვენი მტრების ლაყბობას სამუდამოთ მოეღება ბოლო. ამიერ-კავკასიის გასაბჭოების დღიდან დაწყებული ძმური ურთიერთობა ამიერ-კავკასიის ერებთა შორის უფრო განმტკიცდება.

ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესიის დეკლარაცია ენის შესახებ.

ნაციონალური ჩაგვრის და უთანასწორობის მოსპობა, როგორც ფორმაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს ის, მჩაგვრელი კლასების მტრობის და შუღლის შეცვლა მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობით და ერების ძმური თანამშრომლობით ერთიან სახელმწიფო კავშირში, არის მუშურ-გლეხური რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების ერთი ძირითადი ამოცანათაგანი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ამიერ-კავკასიის მშრომელმა მასებმა რუსეთის რევოლიუციონურ მუშებთან და გლეხებთან ერთად მოიშორეს უღელი ნაციონალური ჩაგვრისა ველიკოროს მემამულეების და კაპიტალისტებისა და განაპირა რაიონებში მათი დამქაშების, მეფის გენერლების მოხელეების სახით, და აგრეთვე წვრილ ბურჟუაზიულ შოვინისტურ პარტიებისა, რომლებიც ატარებდნენ ურთიერთ უნდობლობის, ურთიერთისადმი მტრობის, შურის და განადგურების პოლიტიკას საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერ-კავკასიაში მოსპო ერთხელ და სამუდამოთ ნაციონალური „პოგრომების“ და ხოცვა-ჟლეტის რეჟიმი, რომელიც აქ მძვინვარებდა წვრილ-ბურჟუაზიულო პარტიების,—მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატისტების და მათი საზღვარ-გარეთული მფარველების ანტანტისა და თეთრგვარდიელი ბატონ-პატრონების თარეშის დროს.

ამით მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ამიერ-კავკასიის ერების ნაციონალურ განთავისუფლებას და შეიქმნა შესაძლებლობა ნაციონალური კულტურობის და მხარის მშრომელი მასების ძმური ერთობის დაუბრკოლებლად განვითარებისათვის. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წინა წლები, ამ შესაძლებლობათა ქვეყნის კულტურული განვითარებისათვის და მისი ერების ძმური ერთსულოვნების დასამყარებლად გამოყენების მნიშვნელობით, უმაგალითოა არა მარტო თვითმპყრობელობის საუკუნოებრივი ბატონობის ისტორიაში არამედ ამიერ-კავკასიის ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ კლასების, და პარტიების ბატონობის დროსთან შედარებითაც. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის, მოსახლეობის ეთნიური შემადგენლობის სიჭრელის და ნაციონალური კულტურების სხვა და სხვაობის პირობებში, ამიერ-კავკასიის მუშებისა და გლეხების და ქვეყნის მშრომელი მასების რევოლიუციონური ხელისუფლების ორგანოების წინაშე დგას კიდევ—ჩამორჩენილი ერების კულტურულ-ეკონომიური დონის ამაღლების, დიდმპრობელური შოვინიზმის და ნაციონალიზმის ამიერ კავკასიის ერებსა და ტომებში ნაციონალური განცალკევების ნაშთების აღმოფხვრის მძიმე ამოცანა. ამ ამოცანის გადაჭრის მთავარი გზა არის ამიერ კავკასიის მრავალტომიან ერების მშრომელი მასების ჩაბმა კულტურულ და პოლიტიკურ მშენებლობაში და სახელმწიფო აპარატის გადაქცევა თვით მშრომელთა ორგანიზაციებად.

ამიერ კავკასიის ერების ცოცხალი სალაპარაკო ენები უნდა გადაიქცენ მათი კულტურული განვითარების და მათ მიერ მუშურ-გლეხური რევოლიუციის მონაპოვართა შეთვისების მძლავრ იარაღად. გამოდის რა ზემოთ-ნათქვამიდან, ამიერ კავკასიი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია საჭიროთ სთვლის:

[illegible] განსაკუთრებული ყურადღება ნაციონალური რესპუბლიკების კულტურული მუშაობის დაყენებას და განვითარებას განსაკუთრებით კი კულტურულ მუშაობას ეროვნულ უმცირესობით დასახლებულ რაიონებში.

2. წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის ცენტრაღმასკომის პრეზიდიუმს მოკლე ხანში გამოსცეს კანონი, რომელიც მოაგვარებს ფედერაციის სახელმწიფო ორგანოებში და აგრეთვე ამ დაწესებულებების მცხოვრებლებთან ურთიერთობის დროს სამშობლო ენის ხმარებას.

3. დაევალოს რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მოკლე ხანში გამოსცენ კოდექსი სახელმწიფო დაწესებულებებში როგორც მცხოვრებთა უმრავლესობის, ისე ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარების შესახებ.

4. შემოღებულ იქნეს უმაღლესი ტიპის ზოგიერთ სკოლებში, პირველ რიგში კი ტეხნიკუმებში, ამიერ-კავკასიის ძირითადი ერების ენის და აგრეთვე მათი ისტორიის და ყოფაცხოვრების სავალდებულო სწავლება.

აკუთვნებს რა პირველხარისხოვან მნიშვნელობას ამ დეკლარაციას, მისგან გამომდინარე დებულებების პრაქტიკულად განსახორციელებლად და უზრუნველსაყოფათ, ამიერ კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია წინადადებას აძლევს ამიერ კავკასიის ცენტრ. აღმასკომის პრეზიდიუმს და რესპუბლიკების ცენტრ. აღმასკომს გამოიმუშავონ სათანადო კანონები, რომლითაც დაისჯებიან ერებისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ყველა დამრღვეველნი.

ამხ. მუშებო და გლეხებო! წითელი არმია საბჭოთა ხელისუფლების ერთგული დარაჯია, საბჭოთა ხელისუფლება კი თქვენი ძალა-უფლებაა, დაეხმარეთ მას, გამოიწერეთ გაზ. **„წითელი-არმიელი“.**

ყველა პატიოსანო მშრომელო! წითელი არმიის თავგანწირულმა ბრძოლამ მოგიტანათ თქვენ მშვიდობიანი ცხოვრება და ბედნიერება.

დაეხმარეთ რითაც შეგიძლიათ ქარ. წითელი არმიის გაზეთს **„წითელ-არმიელს“.**

ტელეგრამები

— 2 ივლის დამთავრდა ბროფინტერნის საბჭოს სხდომები. საბჭომ მოიწონა აღმასრულებელ ბიუროს მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯები.

— პარიზის გაზეთების ცნობით, საფრანგეთის მთავრობა 2 ივლისს გასცემს პასუხს ინგლისის შეკითხვაზე რეპარაციების შესახებ.

— გერმანიის მუშები მიზნათ ისახავენ კუნოს მთავრობის გამოგდებას და მუშათა მთავრობის შექმნას.

— ავსტრიის სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ ბურჟუაზიასთან კოალიციას და აწარმოებენ ბრძოლას კომუნისტების წინააღმდეგ.

რურის ოლქის ოკუპაცია

პუანკარეს სიტყვა

რურის კრედიტების შესახებ კამათის დროს პუანკარემ წარმოსთქვა სიტყვა რურის საკითხში ფრანგების პოლიტიკის დასაცავად და ხაზი გაუსვა, რომ რურის დაჭერა ფრანგების მიერ არ არის მათი იმპერიალისტური მისწრაფება და რურის ოლქი ფრანგებს უჭირავათ მხოლოდ, სანამ გერმანია გადაიხდის ვალებს. საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის განცხადების შემდეგ, რომ სენატი იწონებს პრემიერი ახსნა-განმარტებას რურის საკითხში, კრედიტები ერთხმათ დამტკიცებული იქმნა.

რურის შესახებ კონფერენციაზე წასვლის აკრძალვა.

იტალიის მთავრობამ უარი უთხრა ორ სოციალისტ-დეპუტატს ლონდონში წასასვლელი პასპორტების მიცემაზე, რომელნიც გიემგზავრებოდენ პარლამენტების სოციალისტურ ფრაქციების საერთაშორისო კონფერენციაზე, რურის საკითხების განსახილველად.

ინგლისის ახალი ნოტა.

„დეილი მეილის“ ცნობით ინგლისის მთავრობამ გაუგზავნა ბელგიას ახალი ნოტა სარეპარაციო საკითხის შესახებ. გაზეთი ფიქრობს, რომ თუ ბალდვინი დაინახავს, რომ საფრანგეთთან ერთად მოქმედება საძნელო გახდება, ის დასდებს გერმანიასთან სეპარატიულ ხელშეკრულებას, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ინგლისი ყოველ წლიურად იმდენი თანხის მიღებაში. საკმარისი იქნება შეერთებული შტატების ვალების პროცენტების გადასახდელად.

ფიქრობენ, რომ გერმანია სიამოვნებით დასთანხმდება ასეთ შეთანხმებაზე.

შესაძლებელია, თუ ბალდვინი ვერ მოახერხებს, რომ გამოაცვლევინოს საფრანგეთს თავისი პოლიტიკა, მაშინ ინგლისი და შეერთებული შტატები ერთად იმოქმედებენ საფრანგეთზე, იმით, რომ მოსთხოვენ თავის ვალების გადახდას.

გერმანია

მელითონეთა შორის

ბერლინის მელითონეთა თავმჯდომარემ, ურიხმა, შრომის მინისტრ ბრაუნსთან მოლაპარაკების დროს ლითონის დამმუშავებელ მრეწველობის კონფლიქტის შესახებ, დასთანხმდა გაფიცვის გამოცხადების გადადებაზე, ვინაიდან ბრაუნსმა შეჰპირდა რომ შეეცდება მიაღწიოს ხელშეკრულების განახლებას.

გერმანიის მუშებს შორის

ხის დამმუშავებელ გაფიცულ მუშათა კრებაზე სამუშაოს მიმცემთა წინადადება ხელფასის მომატების შესახებ უარყოფილ იქმნა. ადგილობრივ მელითონეთა პროფკავშირმა დაადგინა მოსთხოვოს გერმანიის პროფკავშირების საყოველთაო გაერთიანებას, რათა მოიწვიონ ყველა პროლეტარული, პარტიული და პროფკავშირების ორგანიზაციები, რომ განიხილონ საკითხი ბრძოლის მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ. ბრძოლის საბოლოო მიზანი უნდა იქნეს. შრომის ხელფასის აწევა ომამდე არსებულამდე, კუნოს მთავრობის ჩამოგდება და მუშათა მთავრომის შექმნა.

რკინის გზელთა კავშირის ყრილობა.

აუსბურგში გაიხსნა რკინის გზელთა კავშირის ყრილობა, რომელზედაც ესწრებიან გერმანიის, ავსტრიის და ბავარიის წარმომადგენლები კომუნისტური პრესის წარმომადგენლები ყრილობაზე არ დაუშვეს.

საუბარი ამიერ კავკასიისცაკის წევრებთან.

შორაპნის მაზრის პარტკომის პ.მ მდივან ამხ. ქავთარაძესთან.

მაზრის მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება. მშრომელი ხალხის განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებასთან მტკიცეა და კარგი. შორაპნის გლეხები საბოლოოდ მიხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობას მშრომელი ხალხისთვის. მიწის რეფორმა თითქმის დამთავრებულია და შედეგიც კარგია, ანტირელიგიური მუშაობა დამთავრებულია; ეკლესიების გადაკეთება კულტურულ დაწესებულებად დღითი დღე ვითარდება და შეგნებულად მიმდინარეობს. საქარას თემში ყოფილი ეკლესიის შენობა უკვე გადაკეთდა ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობის კლუბად. ბანდიტების ფესვებიც ამოფხვრილია; მადლობის ღირსია მილიციის უფროსი ამხ. ბარნაბაძე, რომელმაც თავისი ერთგული მუშაობით გაწმინდა მაზრა ავაზაკთა თარეშობიდან. ჩვენს მაზრაში 1901წ. გაწვეულებიდან გამოქცეულები დეზერტირები არ არის. სამაზრო აღმასკომს გამომუშავებული აქვს გეგმა თუ ჯარში დეზერტირობა დაიწყო საწინააღმდეგოდ საბრძოლველად. თვით ხალხი შეებრძოლება დეზერტირებს როგორც მოღალატეებს. სამაზრო აღმასკომი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს ყველა წითელ არმიელთა ოჯახს, საბჭოთა ხელისუფლებამ იცის რა პატივისცემა უნდა რევოლუციის დამცველ წითელი არმიელთა ოჯახს.

მოსავალს მაზრის მასშტაბში კარგი პირი უჩანს. ვენახი საუკეთესოა. დიდი ნაკლებობ იყო შაბიამანის, მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ ფას დაკლებით მიაწოდა ღარიბ გლეხობას შაბიამანი და მოსავალი კარგი იქნება.

დასასრულ თამამად შეიძლია ვსთქვა საბჭოთა ხელისუფლებას შორაპნის მაზრაში მტკიცე საფუძველი აქვს და მშრომელი მასსა შეგნებულად აფასებს მას.

უკანასკნელ დროს წითელ არმიელთა ყოფა ცხოვრება მაზრის გლეხობამ კარგათ იცის; იცის ისიც, რომ ჯარში მიდის ლიკვიდაცია წერაკითხვის უცოდინარობისა, მისი უსწავლელი შვილი ჯარიდან დაბრუნდება ყოველ მხრივ მომზადებული და შეკეთებული ცხოვრებისათვის და ამიტომ არ აქვს ადგილი იმ ბოროტმოქმედებას რაც იყო მენშევიკების დროს მაგალითად მექრთამეობა, ძალად ავათმყოფობა და სხვა. გლეხი კარგათ არჩევს რა განსხვავება არის მენშევიკების გვარდიელის და საბჭოთა ხელისუფლების წითელ-არმიელს შორის თითქმის უხარია მისი შვილის არმიაში მიღება. ეს ასედაც უნდა იყოს.

საუბარი ცეცხლის მფრქვეველი მთებზე.

ჩვენ ვთქვით, რომ თითქმის ყველა ვულკანებს თავწატეხილი შაქრის თავის სახე აქვსთქო, მაგრამ ძალიან დიდი შეცდომა იქნებოდა ამას თუ ისე გავიგებდით თითქოის ისინი ერთ—. ერთმანეთისაგან სრულიად არ განსხვავდებობოდენ. პირიქით, მათ ხასიათსა და საერთო მოხაზულობაში დიდი სხვა და სხვაობაა შემჩნეული. არამც თუ სხვა და სხვა ვულკანების მოხაზულობა განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ ერთი და იგივე ვულკანი თავისი მოქმედებათა ისტორიულ პერიოდში ძლიერ იცვლის ფორმას.

სანიმუშოთ შეგვიძლია ავიღოთ ვულკანი ვეზუვი, რომელიც როგორც გადმოგვცემენ ეტნასთან ერთად ამოქმედებულა. ეს ვულკანი ძალიან ხშირად იცვლის თავის მოხაზულობას, ფორმას. და განსაკუთრებით თავის წვეროს. ხშირად ხდება, რომ ვულკანის წვერი სრულიად ჩავარდება ხოლმე, მაგრამ ხელახალი ამოხეთქით ჩნდება ამ ჩავარდნილ ადგილზე წვერი რომელიც გარშემორტყმული იქნება რგოლისებრივი არხით.

საერთოდ ვულკანის წვერი ძალიან წააგავს ძაბრის თავს, საიდანაც ვულკანის ფუძემდე მიემართება ვერტიკალურად დიდი ხვრელი, ხოლო ამ ხვრელის ძაბრის თავისებურ გაფართოებას ვულკანის ყელი ანუ კრატერი ეწოდება.

ხანდისხან მოხდება ხოლმე, რომ ვულკანთან მდებარე მთების ჩარღმავებაში, უდიდესი შინაგანი დაწოლისაგან სხვა პატარა კრატერები, ჩნდებიან, რომელთაც მთავარი ვულკანის პარაზიტები ეწოდებათ. მარტო ეტნაზე ასეთი პარაზიტები ორასამდე იყო დათვლილი.

ეხლა ყველა მათგანში ამოხეთქავდა ცეცხლი? იკითხა ვანუამ, რომელიც სულ მთლად სმენად გადაქცეულიყო.

რათქმა უნდა... შესაძლებელიც არის, რომ კიდევ იჩინეს თავი ახალმა პარაზიტებმა, რადგან უძლიერესი ამოხეთქა იყო და რათქმა უნდა შინაგანი დაწოლაც ძლიერი იქნებოდა.. უპასუხა მასწავლებელმა და განაგრძო:

ვულკანიური მთების მოცულობა და სიმაღლე ისეთი მერყევია, რომ მათ შესახებ განსაზღვრული სიდიდის მიცემა შეუძლებელია. ვულკან ვეზუვის ამხანად აქვს 1300 მეტრის სიმაღლე. 1749 წ. მისი სიმაღლე უდრიდა 1160 მეტრს, ხოლო 1822 წ—1969 მეტრს ამის შემდეგ ვეზუვის წვერი თითქმის დაინგრა, შემდეგ ისევ დაიწყო ამაღლება და ეს გრძელდებოდა მანამდე სანამ 1855 წ. ისევ არ დაიწია 60 მეტრით. ასეთივე მოვლენა განმეორდა 1872 წ. ამოხეთქის დროს საერთოდ ამ 50 წ. განმავლობაში ვეზუვის სიმაღლე გაიზარდა 139 მეტრით.

მაგრამ არიან ისეთი ვულკანებიც, რომლებიც განირჩევიან თავისი უზარმაზარობით. მაგ. ეტნის დასაწყისის სიგრძე გარეშამო 120 ვერსამდე აღწევს, ხოლო მისი წვერი ამართულია 2,300 მეტ. სიმაღლეზე. არიან აგრეთვე ვულკანიური მთები რომელთა სიმაღლე 7000 მეტ. აღწევს.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი დიდი ვულკანები ზღვის ფსკერის ან დაბალი ადგილების ამაღლებით იყოს წარმოშობილი, არა ისინი თვით მთების აგრეთვე მის მიერ ამოხეთქილი პროდუქტების დაგროვებაა.

ეხლა, რომ ცოტა ოდენი წარმოდგენა მაინც იქონიოთ ვულკანების ყელის, კრატერების სიდიდეზე, დაგისახელებთ რამოდენიმე მაგალითს: ეტნას ყელის გარშემოსიგრძე დაახლოებით 3 ვერსს უდრის, დ̄ მისი ხვრელის ვერტკალური კედლების სიღრმე 200 მეტ. ეხლა კი იყო ცნობები, რომ ხვრელის სიღრმე ამ ამოხეთქის დროს 1000 მეტრს უდრისო. შემდეგ არიან აგრეთვე ვულკანები, რომელთა ხვრელის სიღრმე 1200—1600 მეტრამდე აღწევს.

აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით იმ ვულკანებზე, რომლებიც უკვე მოქმედების პროცესში არიან. მაგრამ არიან ისეთი ვულკანები, რომელთაც შეუწყვეტიათ მოქმედება დიდი ხანია და მხოლოდ ფორმა დარჩენიათ დამახასიათებელი. თვით ჩვენი ქვეყანა, საქართველო სავსე არის ასეთი ვულკანებით. ამას ამტკიცებს ჩვენში ასე გახშირებული მიწის ძვრები და გეოლოგიური გამოკვლევანი, რომლითაც დასტურდება, რომ მთელი კავკასია ზღვის ძირიდან ყოფილა ზევით ამოზიდული.

ჩვენში ჩამქრალ ვულკანებს წარმოადგენენ: მყინვარი-ყაზბეგი, აი დარიალის გასავალთან რომ არის და იალბუზიც თუ ვინმეს დაგინახავთ. ეს ვულკანები ისეთივე ცეცხლის მდინარეებს აყენებდენ ისტორიულ წარსულში, როგორც ახლა ამას ეტნა შვრება. აი კიდევ, სომხეთში რომ მაღალი მთა არის არარატი, იგიც ძველათ ცეცხლის მფრქვეველი იყო.

ოჰ და, შეიძლება, რომ იმათმა ისევ ამოუშვან ცეცხლი? იკითხა ერთმა.

როგორ არა, მათი მოქმედების განახლება ისსევე მოსალოდნელი არის, მაგალითათ სომხეთში არარატმა ისევ განაახლა მოქმედება 1840 წ. ასევე მოსალოდნელია სხვებისგანაც.

მაშ ასე,; ჩემს საუბარს თქვენთან დღეს აქ შევწყვეტ. ხვალ კი ისევ ამ ადგილს შევიყრებით, და მეც გავაგრძელებ ქვევით... და მასწავლებელიც წამოდგა ლოდიდან. აიშალენ არმიელებიც...

მზე უკვე გადასულიყო და მის უკანასკნელ სხივებს კოცონი დაენთო შორს სახლების ფანჯრებში. დასავლეთის ნიავი ჩამდგარიყო და საღამოს მყუდროება ფრთებს ისხამდა...

მაშ კარვებისაკენ! გაისმა გუნდის უფროსის ხმა დ̄ არმიელების სწორი მწკრივი სიმღერით უახლოვდებოდა კარვებს. ღამემ შეუმჩნევლად შამოაპარა თავისი მოწინავე რაზმი...

გაისმა საყვირის ხმა და ცოტა ხნის შემდეგ ბანაკი სიჩუმემ მოიცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წითელ ჯარს

დეზერტირების გასამართლება.

1923 წელს ივნისის 15 თბილისიდან ჩამოსული რევ-ტრიბუნალის სესიამ საჯაროთ გაასამართლა დეზერტირი წით. არმიელები. გასამართლებას დაესწრო მთელი ჩვენი ლეგიონის წ. არმიელები. ბევრი იყო აგრეთვე გასამართლებაზე გარეშე პირებიც. 1) უღირსი ამხანაგები, რომლებმაც დასტოვეს სრულიად უმიზეზოთ წითელი არმიის რიგები იქმნენ გასამართლებული მუშურ გლეხური მართლ-მსაჯულების მიერ; მათ მიესაჯათ ასეთი ქცევისათვის ორ ორი წლის ციხე. დეზერტირების დანახვაზე ლაშქრელთა შორის ჩონჩქოლი ასტყდა და ზიზღის თვალით უყურებდნენ წ. რიგებიდან გაქცეულებს. ტრიბუნალის დადგენილებით წ. ლაშქრელები სრულიად კმაყოფილი დარჩნენ.

აგრეთვე აფრთხილებდნენ ერთმანეთს რომ არავის შეეცდინა და არ ჩაედინათ ასეთი შეუწყნარებელი შეცდომა. ვინაიდან ასეთი პირები მუშურ გლეხურ ხელის უფლების მოღალატედ ითვლებიან და მშრომელი ხალხის თვალში, ზიზღს იმსახურებენ.

სამხკორი **ტყემალაძე.**

საქმიანი დღე.

ა. წ. 25 ივნის შესდგა დივიზიის უნცროს მეთაურთა მოსამზადებელი სკოლის კურსელთა და უფრ. შემადგენლობათა საერთო კრება.

თავმჯდომარეობდა ამხ. ძესხი. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება ამხ. გიორგაძის, საერთაშორისო მდგომარეობაზე.

2) სკოლისათვის ამხ. ობოლაძის სახელწოდების მიცემა.

3) საპატიო კურსელების ამორჩევა. პირველ საკითხზე მოისმინეს რა ამხ. გიორგაძის მოხსენება იქმნა გამოტანილ რეზოლიუცია რომელიც თავდება შემდეგი სიტყვებით: სკოლის საერთო კრება იმედს გამოსთქვამს რომ შემდეგშიდაც საბჭოთა ხელის უფლების მიერ არ იქნება არც ერთი ნაბიჯი გადადგმული, რომელიც შეკვეცავდეს ოქტომბრის რევოლიუციის ცეცხლით და მახვილით მოპოვებულ თავისუფლებას. ჩვენ მხრივ კი ვსდებთ პატიოსან მხედრულ ფიცს, რომ პირველი მოწოდებისათანავე, მედგრად შევებრძოლებით კაპიტალიზმს რათა გადავჩეხოთ მათ მიერ გათხრილ სანგრები.

2) მეორე საკითხზე ილაპარაკა ამხ. გიორგაძემ, რის შემდეგაც იქმნა აღძრული შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არის, რომ სკოლას დაერქვას ამხ. ობოლაძის სახელი, კლუბს ამხ. ჩუბინაშვილის და სამკითხველოს კი ამხ. სანიკიძის სახელი.

და ამასთანავე იქმნა დაარსებული წითელი დაფა, რომელზედაც იქნება აღნიშნული ქართული ლაშქრისაგან გაღებული პირველი მსხვერპლი იმ 13 ამხანაგის წ. ა., რომლებიც გმირულად დაიხოცნენ ხევსურეთში 3) მესამე საკითხიე განმარტება ახსნის შემდეგ ამხ. გიორგაძე წინადადებას იძლევა იქმნას არჩეული საპატიო კურსანტებათ ამხ. ამხ. მიხა ცხაკაია, თენგიზ ჟღენტი, ლექვთაძე, შაკუნი და მიტო თაქთაქიშვილი.

რის შემდეგ კრება დაიხურა ინტერნაციონალით.

სამხკორი: **აივაზოვი.**

პირველ ლეგიონის ცხოვრებიდან.

ამხ. სანი სწერს რომ „წ. მ. წასვლით პრველ ლეგიონის ყაზარმები ობლათ მიყრუებული მოსჩანანო". მაგრამ წითელ არმიელებს კი არაფერი ადარდებს.

ყაზარმის მაგივრათ აწყობენ სააგარაკო პალატკებს, მშვენივრათ რთავენ წინა სადგომებს ყვავილებით, ყველას სახეზე მხიარულობა ეტყობოდა. საღამოს საათის ხუთის შემდეგ მათ ყოფნას არ სჯობია არასფერი. ზოგი მღერის, ზოგი ანეგდოტს ამბობს, ზოგი ზურნაზედ ცეკვავს. სწორეთ საათის ხუთის შემდეგ გლეხ კაცის ქორწილს მოგაგონებს. ავანტყოფობა აღარ არის, წინანდულათ ყველა ენერგიულათ მუშაობენ. ეწერებიან სხვა და სხვა წრეებში.

პარტიულ წრეებში დაახლოვებით ას ოცი კაცია ჩაწერილი. მაცადინობა უფროსთა შემადგენლობასთან სწარმოებს.

წითელ არმიელებთანაც გაძლიერ. და პოლიტ მუშაობა.

სპორტში დაახლოვებით სამოცი კაცი ღებულობს მონაწილეობას და დაყოფილია სამ ჯგუფათ. მაცადინობა ყოველ დღე სისტემატიურათ არის. ლიტერატურული წრე ეხლა ილვიძებს რადგანაც უხელმძღვანელოთ იყო, ეხლა დაინიშნა ახალი ხელმძღვანელი, რომელიც აწარმოებს აღრიცხვას წითელ არმიელებისას, რომელთაც სურთ ლიტერატურულ წრეში მუშაობა, გაზეთი წითელი დროშა განაგრძობს გამოსვლას. ამ თვის 24 დან, რადგანაც ისეც შეჩერებული იყო ბანაკში გადასვლის გამო.

მუშაობა გაჩაღებულია.

ქართულ ცხენოსან ლეგიონის პირველ ესკადრონში პოლიტ საათი წარმატებით ტარდება.

ამხ. პოლიტ-ხელი და კლუბის გამგე მთელ თავის ენერგიას წ. არმიელების გათვითცნობიერების საქმეს ახმარენ. თითქმის ყოველდღიურად აწყობენ ჩვენთან საუბრებს და გვიხსნიან სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებს.

ა. წ. 23 ივნისს პირველი ესკადრონის პოლიტ-ხელი გვესაუბრა ავტონომიური საკითხების შესახებ რ. სფ. ს. რ. ფარგლებში. შემდეგ კლუბის გამგე გვაცნობს სხვა და სხვა ბუნებრივი მოვლენების მიზეზებს და დედა მიწის წარმოშობის ისტორიის ბიბლიის მიხედვით.

წითელი არმიელები სიხარულით შეხვდენ აღნიშნულ საუბრებს და აქტიურ მონაწილეობასაც იღებდენ მასში.

წყალ-წითლელი.

მუშაობა მე-3-მე ქართულ ლეგიონში.

მე-3-მე ლეგიონში გაცხარებული მუშაობა სწარმოებს, მიუხედავათ იმ დაბრკოლებების, რომელიც შეხვდა მას ბანაკში მოწყობის დროს; გადმოდის რა მე-3-მე ლეგიონი ბანაკში, არ წყდება პოლიტ-კულტურული მუშაობა ნაწილში, ლაგერში. დაბანაკების მეორე დღიდინ მე-3-მე ლეგიონში ტარდება პოლიტ-საათი, რომელსაც სისტემატიური სახე აქვს.

ნაწილის არმიელების უმთავრესი პროცენტი წერა კითხვის უცოდინარია, მაგრამ წერა კითხვის შესწავლისადმი ენერგიული და შეგნებული მოპყრობა წით. არმიელებს ძლიერ უადვილებს ამ დიადი საქმის შესრულებას: დიდი ხანი მას შემდეგ რაც რომ დაიწყო მე-3-მე ლეგიონში წერა კითხვის უცოდინარ წით. არმიელებთან მაცადინეობა.

შეუჩერებელად მიმდინარეობს აგრეთვე პარტიული მუშაობაც; რომელიც მიმართულია თითეული პარტ. ამხანაგების აღმზრდელობისაკენ.

ნაწილს კულტურულ აღმზრდელობით ხელმძღვანელობას უწევს კლუბთან არსებული წრეები, სადაც ამ ხანში დაიწყო მეცადინეობა.

წითელ არმიელების პოლიტიკურად გათვითცნობიერებას ხელს უწყობდა ლეგიონის კრებები, სადაც გაირჩა პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხები.

გაზეთ კომუნისტში გამოქვეყნებულ ხუთმეტი პირის დახვრეტის შესახებ, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდენ არა ლეგალურ სამხედრო ორგანიზაციაში. საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება და სხვა.

საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენების შესახებ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

მე-3 მე ლეგიონის საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე ამხ. გაბუნიასი. ადასტურებს: კაპიტალისტური ქვეყნების ნგრევა თანდა თანობითი გრძელდება, რაც მიზეზია მათი იმპერიალისტური პოლიტიკის. ევროპის სახელმწიფოებში ფაშისტური ორგანიზაციების შექმნა, პოლონეთის ჯარების ფოშის მიერ დათვალიერება, რუმინიაში საექსპერტო კომისიის ჩამოსვლა.

კერზონის უკანასკნელი ულტიმატუმი,

ორი და ორ ნახევარი ინტერნაციონალების გაერთიანება მომასწავებელია საერთაშორისო ბურჟუაზიის ცდის, ერთხელ კიდევ გაილაშქროს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც ერთად ერთი საუკეთესო დასაყრდნობია მსოფლიო მუშათა კლასის მოძრაობის.

ჩვენი მე-3-მე ლეგიონის შემადგენლობა ზიზღს უცხადებთ მსოფლიო იმპერიალიზმს და ფიცს ვდებთ საბჭოთა რესპუბლიკების წინაშე რათა დავიცვათ საბჭოთა რესპუბლიკები საერთაშორისო კაპიტალის შემოტევისაგან.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ კ. კალანდაძე, რომელიც ეხება მენშევიკურ ორგანიზაციის მოქმედებას, საქართველოს მშრომელი ხალხის მშვიდობიანობის დარღვევაში, არა ლეგალური სამხედრო ორგანიზაციის მოწყობით, სადაც მონაწილეობას ღებულობდენ ძველი გენერლები, რათა დაერღვიათ მშრომელი მასის მშვიდობიანური ცხოვრება.

მე-3 მე ლეგიონის საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება მენშევიკური ორგანიზაციის მოქმედების და გაზეთ კომუნისტში გამოქვეყნებულ 15 პირის დახვრეტის შესახებ, ის ე. ი. ლეგიონის შემადგენლობა ზიზღით იგონებს მათ და სრულიათ ეთანხმება საქართველოს საგანგებო კომისიის განაჩენს.

ძირს საბჭოთა ხელისუფლების მოღალატეები.

ძირს საქართველოს მშრომელი მასის მოღალატეები.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

სუფსელი.

ლოცვა მხედრისა.

ალისფერ ატლასზე
რკინის მხედარი,
მზე დარი
უცხო;—ეთერს ასვლად ზე
მყოფი მარად მზად;
რათა რტო მწვანით
მგვანი
არავის,—ცის კაბადონი
ვკაფო სავალ გზად...
და კაბა მღონი
მოვაცილო ლურჯ იასამანს;
ურჩიო სამანს
ჩემი ელვარ ხმლით
წარხოცვა!
და მძლე ხმით
როცა
აიჰრას ხოცვა,—
მწვერვალზე
მაშინ აღვმართო ლოცვა
მწველ ველზე
დაწვად...
ჩემი ფერფლი
დე ანიავდეს ახალ სიოზე,
რო მსხვერპლი,
დაცვად
მიტანილი შრომის
სიონზე
იყოს ძიება;
რომ ის,
იდუმალი
სამყაროს ციება
ებას იქ უმალი!
სად გაინავარდოს
ურჩმა რაშმა აწყვეტილ ალვირით;
აიავარდოს
და გააქანოს ჰეროლდი, საყვირით!..
უნდა შეიწძრეს სასაფლაო
როს ისმის: ტრახ! ბუმ!! ბაც!!!
ხვნეშით დაინგრეს სასაკლაო
იქმნეს არ თუნდაც!..
ოდეს, ვით ქარი
დავქრი
ბრძოლის ველს
მეწამულ დროშით,
ჰკიოდეს ქნარი
გველს მაღლა ავზრი,—
შებმად ბროლის ყელს
სისხლიან დროში!..
ოდესაც ჯვარი
ისახვის თმებით,—
წითელ რუების,
და მოსჩანს ჯარი
ტყვიის რითმებით,—
დამაყრუები:
ტრა-ტა-ტა! ტრახ!! ბუჰ!!!
მიწა სიმძიმით
დაიწყებს ზანზარს—
დედა იძახის: უჰ!!!
ზარბაზნის ენა, უნდო ციმციმით,
სიყრმის დროს ნასმენს მაგონებს ზარს;
ოდეს აღდგომა იწყება რიჟრაჟის,—
იხდება ფარდა ბნელ სამყაროის;—
ვარდის ფრად იცინის ავრორა, და
მზის
რაყიფი ჩემი გიჟ რაშის
ისმის ტოტთ ცემა:—
ჰიხვინი, ნიშანი შეტევის დროის!
ვიღაც უცნობი ეშაფოტზე ზის
და საამური ბრძანება იცემა!—
ლოცვად დადგომის—
იწყება გრგვინვა!
სიამედ ომის
იშლება დრტვინვა
უეკლესიო;
ვითა ანგელოსს—
თეთრი მანდილით
ჰგავს სათნო დები,
უეკლო სიო,
იის თვალება!
შვენის ამ მდელოს
გრძელი მანძილი
ჰგრძნობ სად ოდების
ჰანგთ მხურვალებას!
და დასტირიან
ახალ კუბოებს
და დასცინიან
ბრბოს, უქუდოებს!
იქმნება მუსიკა სალბუნით ცხებული,
საამო დილის;
სასაცილოა დამარცხებული,—
სიმბოლო სიკვდილის!
და თუ პროზაა ომის ცდა,—
ბრძოლის ქუხილი პოეზიაა, შვებით
რომ იცდა!
და მე ვლოცულობ ცეცხლის ენებზე
დავქრი გიჟ რაშით—მტერთა ცხენებზე!..

სეზმან ერთაწმინდელი

ახალი ამბები

მატყლის შეკვეთა.

რუსეთის კოოპერაციის ცენტრ. კავშირის ამიერ-კავკასიის განყოფილებამ შეუკვეთა ცეკავშირს 5.000 ფუთი მატყლი, რომლის დამზადებას ცეკავშირი უკვე შეუდგა საქართველოს მეცხვარეთა შორის.

მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის

საქ. სახალხო მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმმა 3 მილიარდი გადასდო მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს პავილიონის მოსაწყობათ.

სანატორიუმის მოწყობა.

საქ. ცენტალმასკომის და სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა რაჭაში აგარაკ შოვზე-მოაწყოს სანატორიუმი.

ინვალიდების შესახებ.

შრომის კომისარიატის კოლეგიამ წინადადება მისცა სოციალურ დაზღვევის სამმართველოს შეიმუშავოს წესი თუ რა შემთხვევაში ექნება უფლება ინვალიდს ერთი დამხმარე კასიდან გადაეწეროს მეორეში და ასეთ შემთხვევაში მიიღოს დახმარება.

ინვალიდების შემოწმება.

სოც. უზრუნველყოფის კომისარიატი შეუდგა ომში დაჭრილ-დასახიჩრებულების ხელ-ახალ შემოწმებას, შემოწმებულებს ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით დაენიშნებათ დახმარება.

საქ. სამხ. რევოლიუციონურ ტრიბუნალში.

3 ივლისს სურამში გაემგზავრა საქ. რევტრიბუნალის სესია, რომელშიაც შედიან: თავმჯდომარე-ლეკვეიშვილი, წევრები-ჯაფარიძე, ჯვარშეიშვილი, სადაც გაარჩევს საქმებს მესამე ლეგიონის წითელი არმიელებისას. მამულაშვილის, გოგინაშვილის, მახნიაშვილის, წიკლაურის, გარსევანოვის, სილაგამის, გედენიძის, ხეცურიანის, ბაკურაძის და ჩხეტიანის, რომელთაც ბრალს სდებენ დეზერტირობაში.

კოოპერაციის საერთაშორისო დღისთვის.

ავიო რაზმმა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა კოოპერაციის საერთაშორისო დღეში 7 მაიის, რაც გამოიხატება ჰაეროპლანების სადემონსტრაციო გამოსვლაში, რომელნიც ჰაერიდან გადმოჰყრიან ფურცლებსა და პლაკატებს.

სამხედრო საქმე

ფეხოსან ჯარის ქვემეხი.

წარსულმა ევროპის ომმა წამოაყენა ფეხოსან ჯარის ქვემეხის შემოღების საკითხი.

ფეხოსან ჯარის ქვემეხი, ბრძოლის მძიმე პირობებში, შეტევის დროს, საარტილერიო საშუალებას წარმოადგენს ფეხოსან ჯარის ხელში.

დივიზიის არტილერია, იერიშზედ წასულ ფეხოსან ჯარს, თავის ცეცხლით ეხმარება განსაზღვრულ მანძილამდე, რის შემდეგ მან უნდა შესწყვიტოს სროლა, რათა საკუთარ ფეხოსან ჯარს თავის ცეცხლით არ მიაყენოს ზიანი; ან კიდევ წარმოსდგება ისეთი შემთხვევა, როცა დივიზიის არტილერია ველარ მიაწვდენს თავის ცეცხლს მტერს, და იძულებული იქნება დროებით შესწყვიტოს სროლა, ახალ პოზიციაზედ გადასასვლელად. აი, სწორედ ამ დროს შეიძლება ფართედ მოიხმაროს ფეხოსან ჯარის ქვემეხი.

ფეხოსან ჯარის ქვემეხი მოიხმარება არტილერიის ცეცხლისაგან გადარჩენილ საყრდნობ პუნქტების, ჯავშნოსნების, მტრის ტანკების და ტყვიამფრქვევების წინააღმდეგ.

იმპერიალისტურ ომის დროს განსაკუთრებული რაზმის არტილერია არ იყო შექმნილი, მხოლოდ ამ მიზნისათვის იღებდენ, სახელდახელოდ, არსებულ ზარბაზნებს, ან კიდევ ახალ სისტემის ზარბაზნებს ხმარობდენ.

მაშინ ომის გაცხოველებულ პროცესში საკმაო დრო არ ჰქონდათ, რომ რაიმე განსაზღვრულ ზარბაზანზედ შეჩერებულიყვნენ და მისი თვისება ზედმიწევნით შეესწავლათ. საერთოდ აქამდისინ არაა გამოგონილი და დადასტურებული ფეხოსან ჯარის ისეთი ქვემეხი, რომელიც უმწიკვლო და უნაკლულო იყოს. ფეხოსან ჯარის ქვემეხს, სამ უმთავრეს ტიპისას ხმარობენ—ამგვარია 6 დიუმიანი მორტირა, 3 დმ. სამთო გაუბიცა და 3 დმ. სტოქსის მორტირა. ამ სამში ყველაზედ უკეთესი სტოქსის მორტირაა. იგი იწონის 3 ფუთს; მის საბრძოლოდ მომზადებისათვის ნახ. წამია საჭირო; ისვრის 950 საჟენზედ; მისი ჭურვი 11 გირვანქას იწონის და წამში 12 ჭურვის გასროლა შეიძლება.

ფეხოსან ჯარის შეტევის დროს მათ დიდი შეღავათის გაწევა შეუძლიათ, ვინაიდან ეს ქვემეხი ფეხოსან ჯარს ყველგან მიჰყვება და, გაჭირვებულ მდგომარეობაში, მუდამ სასროლად მზად იქნება. იგივე იერიშის მოგერიების შემთხვევისას; მას ექნება განსაკუთრებული ამოცანა: იგი შეებრძოლება ტანკებს, ჰაეროპლანებს და იერიშშიც მონაწილეობას მიიღებს, შეუტევს რა მტრის ფეხოსან ჯარს. ამას გარდა, ფეხოსან ქვემეხებს შეუძლიანთ გადამლობი ცეცხლი შეჰქმნან, მეტადრე კონტრ-იერიშის დროს.

მთებში იგი ისევე მსუბუქი სატარებელია ცხენით, როგორათაც მაქსიმეს სისტემის ტყვიამფრქვევი.

კარგი ფეხოსანი ქვემეხი—უნდა მსუბუქი სატარებელი იყვეს, მარტივი მოწყობილებისა, შორსმსროლი და მძლავრი ჭურვი უნდა ჰქონდეს. გადატანის დროს ისე უნდა იყოს ნავარაუდევი, რომ თითო კაცს ფუთნახევარზედ მეტი არ ჰხვდეს სატარებლად.

შორსმსროლი იმდენად უნდა იყვეს, რამდენადაც ეს საჭირო იქნება იერიშზედ წასულ ფეხოსან ჯარისათვის, რადგან შორს სროლისათვის არსებობს სხვა დანიშნულების ზარბაზნები. ფეხოსან ჯარის ქვემეხები 2 ნახ.—3 ვერსზედ შორს არ უნდა ისროდენ.

ვინაიდან ხელით სატარებელი ქვემეხები იმოქმედებენ ფეხოსან ჯარის მოწინავე ხაზებზედ, სასროლი მასალით მუდამ უზრუნველყოფილნი არ იქნებიან, რისთვისაც მეტად მძლავრი ჭურვი იქნება საჭირო; ასეთი ჭურვი გრანატაა, რადგან მას, მოქმედების გარდა, მტერზედ დიდი მორალური შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია.

გ. ბ.

დეკრეტი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

წითელ არმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

1922 წლის აპრილის 25 ს თარიღითა და 3 ნომრით გამოცემული დეკრეტის შესაცვლელად და გასაუქმებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

რათა წითელ-არმიელთა და წითელ არმიის მოსამსახურეთა თავგანწირული და ნაყოფიერი მუშაობისათვის დამყარდეს საუკეთესო პირობები—შემოღებულ იქმნეს წითელ-არმიელთა (წითელფლოტელთა) და მათი ოჯახების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა შემდეგ საფუძველზე:

1. უზრუნველყოფილ იქნეს ყველა, ვინც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაწვეულია წითელ არმიაში და ჩარიცხული საკომანდო და საადმინისტრაციო—სამეურნეო შემადგენლობაში, აგრეთვე ყველა სამხედრო მოსამსახურე, როგორც სავალდებულო სამხედრო ბეგარის მომხდელი, ისე მობილიზაციით გაწვეული და მობილიზაციით დროსვე წითელ არმიაში მოხალისედ შესული და აგრეთვე მათი ოჯახების შრომის უნარმოკლებულნი წევრნი.

შენიშვნა: ამის ქვევით წითელ არმიისა და ფლოტის მთელი შემადგენლობა როგორც საკომანდო, ისე არა საკომანდო, წოდებულ იქნებიან წითელ-არმიელებათ.

2. წითელ არმიაში მობილიზაციით გაწვევის ან მობილიზაციის დროსვე არმიაში მოხალისედ შესვლის დროს ყველა მუშა და მოსამსახურე, როგორც სახელმწიფო და კერძო დაწესებულებისა, ისე კერძო პირთან მომუშავე—მიიღებს მაშინვე სრულ ანგარიშს და გარდა ამისა ორი კვირის გასამრჯელოს.

3. არმიიდან დემობილიზაციის გამო დაბრუნებისას 1-ლ მუხლში აღნიშნული პირი მიიღებს ხელახლად იმ თანამდებობას, რაც მას მობილიზაციამდე ეჭირა, უკეთუ ეს თანამდებობა გაუქმებული არ არის.

4. წითელ-არმიელს, რომელიც არმიაში შესვლამდე სასოფლო მეურნეობას ეწეოდა, შეენახება მიწის სრული ნორმა. თანახმად მიწათმოწყობის დებულებისა.

5. წითელ-არმიელსა და მის ოჯახს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასტუმრების გასაადვილებლად, მიეცეს შემდეგი შეღავათი:

ა) წითელ-არმიელი, რომელიც ნამდვილ სამსახურშია და აქვს სხვა და სხვა სანახი ორ დესიატინამდე ან ორ დესიატინაზე მეტი სახნავზე გადატანით—სრულიად განთავისუფლდება გადასახადებისაგან პირველი ორი დესიატინისათვის.

ბ) „ა“ პუნქტში აღნიშნულ პირთა ოჯახი, უკეთუ მათ მეურნეობაში არ არის შრომის უნარიანი წევრი, აგრეთვე სრულიად განთავისუფლდება გადასახადისაგან, პირველი ორი დესიატინისათვის გაიღებს გადასახადის ნახევარს:

გ) სამოქალაქო ომის ინვალიდთა ოჯახებს და ტყვეობაში მყოფ წითელ არმიელთა ოჯახებს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის მიეცემათ იგივე შეღავათი, რაც ნამდვილ სამსახურში მყოფ წითელ არმიელის ოჯახს.

6. წითელ-არმიელი არ შეიძლება გამოსახლებულ იქნეს მის მიერ დაჭერილ ბინიდან, ვიდრე სათანადო სადგომი არ მიეცემა.

7; დეზერტირ წითელ არმიელს ან მტრის ბანაკში გადასულს და მის ოჯახს მოესპობა ამა დეკრეტით დაწესებული უფლება უზრუნველყოფისა.

8. წითელ-არმიელის ოჯახს, უკეთუ იგი ერთად-ერთი მრჩენელია თავისი ოჯახისა, ეძლევა ყოველთვიური დახმარება.

9. ამ დახმარების მიღების უფლება აქვს წითელ-არმიელის ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრს, რომელსაც ის ინახავდა სამხედრო სამსახურში შესვლამდე.

10. შრომის უნარმოკლებულად ჩაითვლება:

ა) წითელ არმიელის ცოლი, რომელსაც ჰყავს ბავშვი ჰასაკით 8 წლამდე, ან რომელიც თითონ 45 წლისაზე უმცროსი არ არის.

ბ) შვილი 16 წლამდე;

გ) წითელ-არმიელის ძმა და და, უკეთუ ის 16 წლისაზე მეტისა არ არის ან მთლად ობოლია ან და მისი მშობლები ცნობილ არიან შრომის უნარმოკლებულად.

დ) დედა 45 წლისაზე უფროსი;

ე) მამა 55 წლისაზე უფროსი, და ბებია და პაპა უკეთუ მათ არა აქვთ პირადი შრომის საშოვარი 13 მუხლში აღნიშნულ რაოდენობაზე მეტი.

11. ოჯახის წევრად, რომელსაც დახმარების მიღების უფლება აქვს ჩაითვლება აგრეთვე ქორწინების გარეშე შობილი ან ნაშვილები.

12. წინა მუხლებში აღნიშნულ პირთ, დახმარების მიღების უფლება აქვთ მიუხედავად მათი წლოვანებისა, უკეთუ მათი შემოწმებით არსებული წესისამებრ ცნობილ იქნება, რომ ისინი შრომის უნარმოკლებულნი არიან ამასთანავე შრომის უნარმოკლებულად ჩაითვლება ის, ვისაც სამუდამოდ დაკარგული აქვს შრომის უნარიანობის არა ნაკლებ 75 პროც.-სა.

13. დახმარება ეძლევათ შემდეგი რაოდენობით: ოჯახის ერთს შრომის უნარმოკლებულს წევრს—ადგილობრივი მინიმალური სატარიფო განაკვეთის 40 პროც. ორს- 70 პროც., სამს—და უფრო მეტს—მთელი აღნიშნული განაკვეთის რაოდენობით.

14. წითელ არმიელის ოჯახს დახმარების უფლება (მუხლი 9) ეძლევა იმ თვის პირველი რიცხვიდან, რომელიც მოსდევს ოჯახის უფროსის არმიაში შესვლის თვეს.

15. 8 მუხლში გათვალისწინებული დახმარების უფლება აქვს იმ წითელ-არმიელის ოჯახს, რომლის ჯამაგირიც არ აღემატება წითელ-არმიელთა სამსახურის ადგილას არსებულ მინიმალურ განაკვეთს.

16. საკომანდო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირს, რომელიც ოჯახის წევრისათვის ულუფას ღებულობს—ჩამოერთმევა ამა დეკრეტის 8 მუხლში გათვალისწინებული დახმარების უფლება.

17. დახმარების მიცემა დაევალება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, რომელიც ამა საჭიროებისათვის გამოითხოვს სათანადო კრედიტს დადგენილი წესით.

18. უკეთუ საჭირო იქნება სამედიკო შემოწმება იმ პირისა, რომელიც წითელ არმიაში მიღებული პირის რჩენაზე იმყოფებოდა,—ასეთი შემოწმება უნდა მოხდეს მაზრის სამხედრო კომისარიატთან.

19. სამხედრო ვალდებული და მობილიზაციით გაწვეული წითელ არმიელის ოჯახს, რომელიც სასოფლო მეურნეობას ეწევა, ფულადი დახმარების გარდა უფლება ეძლევა—მისი მიწები შემუშავებულ იქნეს საზოგადოების საშუალებით და აგრეთვე ეძლევა უფლება უპირატესი დაკმაყოფილებისა საფაბრიკო საქარხნო მრეწველობის პროდუქტებით, რაც სოფელს გადაეცემა ხოლმე.

20. წითელ-არმიელის სიკვდილისა ან დასახიჩრების შემთხვევაში მისი ოჯახი ან თითონ დასახიჩრებული უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმ წესით, რომელიც დადგენილ იქნება სპეციალური დეკრეტით.

21. ამა დეკრეტის აღსრულება სასოფლო სამეურნეო დახმარების სფეროში დაევალება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს.

22. დაევალოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, შეიმუშაოს დახმარების გაცემის წესი.

23. ყველა პირს, ვისაც, 1922 წლის აპრილის 25 ს თარიღითა და 3 ნომრით გამოცემული დეკრეტის თანახმად, აქვს დახმარების მიღების უფლება, ეს დახმარება, რომელიც მას ამა დეკრეტის გამოქვეყნებამდე ეძლევა—მიეცემა 1922 წლის ოქტომბრის განაკვეთით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ჰ. საბაშვილი.

1923 წ. ივნისის 28.

ტფილისი—სასახლე.

ცირკულიარი № 148

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილებისა

2 ივნისს 1923 წ. ქ. ტფილისი.

პოლიტ-განყოფილების მიღებული ცნობებით, ხშირია შემთხვევა, როდესაც დივიზიის ნაწილების და დაწესებულებების თანამშრომლებს მიაქვთ, მთლიან სამხედრო კოოპერატივიდან სხვა და სხვა (საქონლები) ნივთები ნისიათ და ან აგვიანებენ ვალის გადასდას და ან სრულიად არ იხდიან.

ვიღებ რა მხედველობაში ერთი მხრივ თანამშრომელთა ცუდ ეკონომიურ პირობებს და აგრეთვე იმასაც რომ საქონლის საფასურის გადაუხდელობის გამო, კოოპერატივს არ ექნება საშუალება შეიძინოს ახლად საქონელი, წინადადება გეძლევათ საქონლის კოოპერატივიდან ნისიათ წაღების დროს იხელმძღვანელოთ შემდეგი წესით:

1. დაწესებულებების ან ადმინისტრაციის სრული პასუხისმგებლობის ქვეშ და მათივე ოფიციალურ მიმართვით, თანამშრომელთ ეძლევათ საშუალება მიიღონ კოოპერატივიდან აუცილებლად საჭირო, პირველ მოთხოვნილების საგნები და არას დროს არა საგნები ფუფუნებისა.

2. საქონელი ეძლევა ნისიათ განსაზღვრულ ვადით, რომლის განმავლობაში საფასური აუცილებლივ გადახდილი უნდა იქმნას.

შენიშვნა: ვადა განისაზღვრება ორთავე მხარის ადმინისტრ შეთანხმებით. არა უგვიანეს თვისა.

3. საფასური გადახდილი უნდა იქმნას, გადახდის დროს საქონლის ღირებულების კურსით.

4. ნისიათ წაღებულ საქონლის საფასური არ უნდა აღემატებოდეს თანამშრომლის ერთი თვის ჯამაგირს.

პოლიტ-განყოფილების უფროსის მოადგილე. **შუშანია.**
საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მაგ. **კოპაძე.**

ლექსები

ჯიბრი

და ფრანგი კაპიტალისტი
გერმანიას შეესია;
(შორით უმზერს კომუნისტი
ეს ჩაგრულების მესია!..)

და აღრჩობს გერმანელ მუშას
უძლები მუსიე ფრანგი;
სისხლითა რწყავს ყველა ქუჩას
სიკვდილის წინ შავი ჭანგით!

მაგრამ გერმანელ ბურჟუას
მოსდის ამის გამოდ ჯავრი;
ძალას ატანს თავის ჭკუას,
რომ გამოიტანოს მსჯავრი!

შურით ეუბნება ფრანგსა:
—„ო, რათ გადამიღობე გზა?
მეც შენებრ ვაჟღერებ ჩანგსა
მუშის დასღრჩობად ვარ მზა!

შენზე უკეთესად ვიცი
საკუთარ მუშების ცემა;
და სიბრაზისგან ვიწვი
გულზე მახვილი მეცემა,

როს გიყურებ არჩობ მარტო—
ო, ლამის ჭკუაზე შევცდე!
ხომ მიცნობ?—რა განცაიმარტო
მინდა მაგის სიკვდილს შევწვდე!

ეს სისხლიანი ხელები
განა მაგას არ არჩობდა?!
და რად ხარ განახელები?—
შენს მუშტს ჩემი არა სჯობდა!?

ამ სურათის მაცქერალი
კომუნისტი ყალყზე დგება;
და ორივეს მისი ალი
მუშის ცრფობით არ ასცდება!

დაშნა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000. სამხედრო სტამბა.